საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოგზაური დასის თეატრი

მოგზაური დასის თეატრი, შეიქმნა 1912 ბათუმში შ. დადიანის ხელმძღვანელობით. პირველი წარმოდგენა გაიმართა 15 სექტემბერს შმაევსკის თეატრში. დასის წევრები იყვნენ: ე. ანდრონიკაშვილი, ს. ბეჟანიშვილი, ბ. რონელი, ე. და ც. წუწუნავები, პ. კორიშელი, ა. მურუსიძე, ვ. სარელი, ა. ყალაბეგიშვილი, ნ. ჩაგუნავა, ს. ხარაზიშვილი, ი. ხურციძე, ა. ჯაყელი და სხვ. თეატრი მიზნად ისახავდა შავიზღვისპირა ქალაქების მოსახლეობისთვის პროფესიული, მაღალი დონის სპექტაკლების ჩვენებას. დასი გასტროლებზე იმყოფებოდა სოხუმში, სენაკში, ლანჩხუთში, ასევე – ბაქოში, ნოვოროსიისკსა და ვლადიკავკაზში. მ.დ.თ-მა გამოსცა ალმანახი „სათეატრო ფურცელი“. მოამზადა ნიადაგი ბათუმის პროფ. თეატრის ჩამოყალიბებისათვის.

ლიტ.: გ ე რ ს ა მ ი ა ს., ბათუმის თეატრი 70 წლის მანძილზე [1879–1949], ბათ., 1949.

ლ. კიკნაძე